საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის
ბიუროს 2013 წლის 25 ივლისის სხდომის
დღის წესრიგი

2013 წლის 10 ივლისიდან მოწვეული საქართველოს პარლამენტის
რიგგარეშე სესიის 25 -26 ივლისის პლენარული სხდომების დღის წესრიგი.

კენჭსაყრელი საკითხები

1. **საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტს შორის „შესყიდვებსა და მომსახურებაზე (საქართველო - აშშ - 02)“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე“ (#07-1/63; 25.06.2013)**

(საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე)

---

2. **საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროპაში მეკავშირე ძალების უმაღლეს შტაბბინას შორის ავღანეთში NATO-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ“ ტექნიკური შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე“ (#07-1/67; 02.07.2013)**

(საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე)

---

3. **საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოსა და პორტუგალიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (#07-1/39, 18.03.2013) რატიფიცირების თაობაზე“**

(საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალაგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი)

---

4. **საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებითი ოქმის (ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით) (#07-1/58, 30.05.2013) რატიფიცირების თაობაზე“**

(საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია)

---

5. **საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის“ დამატებითი ოქმის რატიფიცირების თაობაზე“ (#07-1/66; 02.07.2013)**

(საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა; **მომხსენებელნი:** საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე)

---

განსახილველი საკითხები

1. **საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (#07-3/130; 18.07.2013) I მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

**(წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით ზუსტდება სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნისა და ამ საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის შედგენის წესი, ასევე იმ ამომრჩევლების კენჭისყრაში მონაწილეობის წესი, რომლებიც მოხსნილნი იქნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომელთა რეგისტრაციას ძალადაკარგულად იქნა ცნობილი)**

**ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.**

---

2. **საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“(#07-3/131; 18.07.2013) I მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

**(კანონპროექტით ზუსტდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკურ პარტიების დაფინანსების წესი, დაფინანსების მისაღებად კანონმდებლობით დადგენილი 4%-იანი ბარიერის ნაცვლად დგინდება 3%-იანი ბარიერი. კანონპროექტითვე ზუსტდება პარტიების, იურიდიულ პირთა მიერ დაფინანსების, შემოწირულობების მიღების წესი)**

**ინიციატორი ითხოვენ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.**

(იხ. კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი)

---

3. **საქართველოს კანონის პროექტი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/125; 11.07.2013) I მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის 49 წევრის ინიციატივა; **მომხსენებელი** -საქართველოს პარლამენტის წევრი გედევან ფოფხაძე; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

(კანონპროექტი ითვალისწინებს 2014 წლის 1 თებერვლამდე იმ უძრავ ქონებასთან დაკავშრებული საქმეების აღსრულების შეჩერებას, რომლებზეც საკუთრება მოპოვებულია სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე)

4. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა

(კანონპროექტით ხდება 2014 წლის 1 თებერვლამდე იმ უძრავ ქონებასთან დაკავშრებული საქმეების აღსრულების შეჩერებას, რომლებზეც საკუთრება მოპოვებულია სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აუქციონზე ქონების შეძენით)

ინიციატორები ითხოვენ კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას.

---

5. საქართველოს კანონის პროექტი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/121; 04.07.2013) I მოსმენა

(საქართველოს პარლამენტის წევრის კობა დავითაშვილის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

(წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ფარმაცევტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დარღვევებისათვის დაწესებული სანქციების გაორმაგებას)

---

6. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-2/65, 23.05.2013) II მოსმენა

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ირაკლი ხმალაძე; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე)

(კანონპროექტის თანახმად, ნარჩენების ჩამონათვალს, რომელთა იმპორტი დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე აქროლადი ნაცარი თბოელექტროსადგურებიდან წარმოქმნილი)

---

7. საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-2/75; 22.06.2013) I მოსმენა

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე; **თანამომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე)

**(კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გამოცდების ეროვნული ცენტრის რეორგანიზებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრად. ამასთან, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებასთან ერთად განახორციელებს ეროვნულ შეფასებებს და საერთაშორისო კვლევებს)**

8. **საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა**

**(კანონპროექტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გამოცდების ეროვნულ ცენტრს ეცვლება სახელი და ეწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრად. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციაში აღარ იქნება სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამების შემუშავება, სამინისტრო მხოლოდ დაამტკიცებს ამ პროგრამებს)**

9. **საქართველოს კანონის პროექტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა**

**(წარმოდგენილი კანონპროექტით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, სახელწოდება ეცვლება „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გამოცდების ეროვნულ ცენტრს“ და ეწოდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“)**

---

10. **საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (#07-2/77; 25.06.2013) I მოსმენა**

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია)

**(წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი 6000 ლარამდე შემოსავლის, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულის ხელფასისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებას, ხოლო 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ მიღებული მოგება, რომელიც წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს - მოგების**

**გადასახადისაგან განთავისუფლებას. ცვლილება ეხება ასევე ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისათვის აქციზის არსებული განაკვეთების გაზრდის საკითხს)**

(იხ. კვლევითი დეპარტამენტის საინფორმაციო ფურცელი)

---

11. **„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (2013 წლის 28 ივნისი, #797- IIს) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების (კანონპროექტის) განხილვა.**

(**მომხსენებელი** – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი გორდულაძე)

---

12. **საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (#07-3/86, 25.04.13) I მოსმენა**

(საპარლამენტო ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი სერგო რატიანი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

**(კანონპროექტის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ამ დაწესებულების განვითარების ფონდის საქმიანობიდან მიღებული მოგება, ხოლო აღნიშნული დაწესებულებების ქონების გადასახადის წლიური ოდენობა განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 0,1%–ით)**

---

13. **საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/85, 25.04.13) I მოსმენა**

(საპარლამენტო ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი სერგო რატიანი; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე)

**(წარმოდგენილი კანონპროექტით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი სგანამანათლებლო დაწესებულებების გაუქმება ან რეორგანიზაცია დასაშვები ხდება მხოლოდ ამ დაწესებულებათა წარმომადგენლობითი მმართველი ორგანოს თანხმობით. რეგენტთა საბჭოს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნა–გათავისუფლებასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცემა დაწესებულების მიერ შექმნილ**

**კოლეგიურ ორგანოს, შესყიდვებთან დაკავშრებული ფუნქციები – განათლებისა და მეცნიერების, ხოლო ქონების განკარგვასთან დაკავშრებული ფუნქციები – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს)**

14. **საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა**

**(კანონპროექტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესაძლებელია განხორციელდეს ასევე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის მიერ კომპიუტერული პროგრამების, ლაბორატორიული რეაქტივების და ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვა)**

---

15. **საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (#07-3/101, 11.06.2013) I მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირინე იმერლიშვილი)

**(რეგლამენტის პროექტით ანგარიშვალდებული ორგანოს მიერ პარლამენტის წევრის კითხვაზე წერილობითი პასუხის წარდგენისათვის განისაზღვრება 15 დღიანი ვადა, ნაცვლად დღეს მოქმედი 7 დღიანი ვადისა)**

---

16. **საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (#07-3/100; 06.06.2013) III მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაქარია ქუცნაშვილის, კახა ოქრიაშვილის, ირინე იმერლიშვილი, პავლე კუბლაშვილის, მერაბ კაჭახიძის, თემურ მაისურაძის, გედევან ფოფხაძის, ფრიდონ საყვარელიძის, ვახტანგ ხმალაძის, შალვა კიკნაველიძის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი)

**(წარმოდგენილი კანონპროექტით რეგულირდება ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტების წესი, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და დედაქალაქ - თბილისის მერის არჩევნებისათვის, ასევე ზუსტდება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილე სუბიექტთა წრე, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების დაკისრების წესი და საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების გამოწვევისა და შეცვლის წესი)**

---

17. **საქართველოს კანონის პროექტი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/110; 13.06.2013) III მოსმენა**

(საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი სესიაშვილის, ირაკლი ჩიქოვანის, ვიქტორ დოლიძის, ზაქარია ქუცნაშვილის, დავით. ბერძენიშვილის, გიგა ბუკიას, გოგი თოფაძის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს პარლამენტის წევრი გიგა ბუკია)

**(კანონპროექტით „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისათვის დგინდება ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით)**

18. **საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ III მოსმენა**

**(კანონპროექტით განისაზღვრება „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საერთაშორისო ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისსა და 2004 წლის 22–24 აგვისტოს მოვლენებისას დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების წესი და პირობები)**

19. **საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ III მოსმენა**

**(წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად)**

---

20. **საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (#07-2/81; 04.07.2013) II მოსმენა**

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; **მომხსენებელი** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე; **თანამომხსენებელნი:** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირინე იმერლიშვილი)

**(კანონპროექტის თანახმად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობაზე პირი კონკურსის**

**წესით დაინიშნება 2014 წლის 1 ივლისამდე, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე - 2014 წლის 1 იანვრამდე)**

---

21. **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი (ეკატერინე მოდებაძე, ალექსი შოშიაშვილი) (#07-1/70; 18.07.2013) კანდიდატურების არჩევის საკითხი.**

(**მომხსენებელი** - საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი გორდულაძე)

---